პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ Орган Центрального и Тбилисского комитетов КП(б) Грузии и Советов депутатов трудящихся Грузинской ССР

პარასკევი
20 ოქტომბერი
1939 წ.
№ 241 (5641)
ფასი 10 კაპ.

კოლმეურნე ქალებო — ტრაქტორზე, კომბაინზე, ავტომობილზე!

საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობა მოწინავე სამანქანო ტექნიკას ემყარება. ჩვენი მიწათმოქმედება თანამედროვე ტექნიკით შეიარაღებულია უფრო მეტად, ვიდრე რომელიმე კაპიტალისტური ქვეყნის მიწათმოქმედება. ასიათასობით ტრაქტორები, კომბაინები, ავტომობილები ამუშავებენ მინდვრებს, იღებენ მოსავალს, ეზიდებიან კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პროდუქციას. ყველაზე რთულ და ყველაზე მძიმე სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს, რომლებსაც წინათ ადამიანი ასრულებდა, ახლა მანქანები ასრულებენ.

საკოლმეურნეო წარმოების მექანიზაციამ ახალი პროფესიები წარმოშვა საბჭოთა სოფელში. გუშინდელი გუთნისდედა ტრაქტორის საჭესთან ზის, მცელავი კომბაინის შტურვალთან დგას, მეხრე ავტომობილს მართავს. წარმატებით არის გადაჭრილი საკოლმეურნეო ტექნიკური ინტელიგენციის საკუთარი მექანიზატორული კადრების შექმნის პრობლემა. მარტო მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში მილიონნახევარზე მეტი ტრაქტორისტი, კომბაინერი, შოფერი, მემანქანე და მექანიკოსი მუშაობს. კვალიფიციურ მუშაკთა ეს არმია წარმოადგენს კოლმეურნეობებში მოწინავე, წამყვან რაზმს, რომელიც კოლმეურნეთა მთელს მასას რაზმავს სტახანოვური მუშაობისათვის. ბევრი ტრაქტორისტი და კომბაინერი თავისი შრომითი საგმირო საქმეების მეოხებით საყოველთაოდ ცნობილი გახდა, ისინი გახდნენ ჩვენი ქვეყნის წარჩინებული ადამიანები, გადაიქცნენ დიდ სახელმწიფო მოღვაწეებად.

მაგრამ მექანიზატორთა კადრების შექმნის დროს სამიწათმოქმედო ორგანოებმა ცალმხრივობა დაუშვეს. მათ დაივიწყეს ამხანაგ სტალინის მითითება იმის შესახებ, რომ „ქალები კოლმეურნეობებში — დიდი ძალაა. გასაქანი არ მისცე ამ ძალას, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩაიდინო ბოროტმოქმედება. ჩვენი მოვალეობა იმაში მდგომარეობს, რომ წინ წავწიოთ ქალები კოლმეურნეობებში და საქმეში ჩავაბათ ეს ძალა“. ხოლო ამ ძალის საქმეში ჩაბმა, უწინარეს ყოვლისა, იმას ნიშნავს, რომ საშუალება მივცეთ ქალებს გახდნენ მანქანების წამყვანნი. ტრაქტორისტი და კომბაინერი ყველაზე პატივცემული ხალხია კოლმეურნეობებში. მანქანებზე მუშაობა ყველაზე საპატიო სამუშაოა კოლმეურნეობებში. და ამ საპატიო სამუშაოზე გაბედულად უნდა გავგზავნოთ ასიათასობით კოლმეურნე ქალები და ქალიშვილები. რთული სასოფლო-სამეურნეო მანქანების მართვის ოსტატობას უნდა დაეუფლონ არა ერთეული ქალები, არამედ ქალთა ფართო მასები.

ქალთა მექანიზატორული კადრების მომზადებას დიდი სახალხო-სამეურნეო და თავდაცვითი მნიშვნელობა აქვს. არაფერმა არ უნდა დაარღვიოს სოფლის მეურნეობის ნორმალური განვითარება. საკოლმეურნეო მინდვრები ყოველთვის უნდა დაითესოს მთლიანად და უზრუნველყოფილ იქნას ჩვენი ქვეყნის მთელი მოთხოვნილება პურსა და სხვა პროდუქტებზე. მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებს უნდა ჰყავდეთ კარგად გაწვრთნილი ქალთა მექანიზატორული კადრები, როგორც მომქმედი, ისე სარეზერვო კადრები, რომლებსაც საჭიროების შემთხვევაში მამაკაცთა შეცვლა შეეძლებათ.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების დიდ უმრავლესობას ჯერ კიდევ არ მოეპოვება ტრაქტორისტ და კომბაინერ ქალთა საჭირო კადრები. 1938 წელს მტს-ებში მუშაობდა 990 ათასი ტრაქტორისტი და სატრაქტორო ბრიგადების ბრიგადირი და 225 ათასი კომბაინერი და მათი თანაშემწე. ხოლო ქალები ტრაქტორისტთა შორის 1938 წლის დამდეგისათვის იყო 6.8 პროცენტი და კომბაინერთა შორის — 7,6 პროცენტი. კიდევ უფრო ნაკლებია ქალები მექანიკოსთა, მემანქანეთა და შოფერთა შორის. ასე, მაგალითად, მიმდინარე წელს მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მიერ, არასრული ცნობებით, მომზადებულია 36 ათასზე მეტი შოფერი, მათ შორის კი მხოლოდ 894 ქალია.

გასულ წელს შესამჩნევი ცვლილებანი არ მომხდარა. და მხოლოდ მიმდინარე წელს დაისახა ერთგვარი გარდატეხა. გაზაფხულზე საკოლმეურნეო სოფლის წარჩინებულმა ადამიანებმა ამხ. ანგელინამ, კოვარდაკმა, მუხორტოვამ და სხვებმა გამოაქვეყნეს მოწოდება მოამზადონ ასი ათასი ტრაქტორისტი ქალიშვილი. ამ ძვირფას ინიციატივას მხარი დაუჭირა ლენინურმა კომკავშირმა. 200 ათასამდე ქალმა გამოსთქვა სურვილი გაიარონ კურსები, შეისწავლონ მანქანა, გახდნენ ტრაქტორისტები.

ტრაქტორისტ ქალთა მომზადების პროცესში გამოირკვა, რომ იმის უმთავრესი მიზეზი, რაც ქალთა მექანიზატორული კადრების ზრდას აფერხებდა, ის გარემოება იყო, რომ მიწათმოქმედების ორგანოები უყურადღებოდ ეპყრობოდნენ ამ საქმეს. უაღრესად დამახასიათებელია ნიკოლაევის ოლქის ვისოკოპოლიეს მტს-ის გამოცდილება. ტრაქტორისტთა კურსებზე აქ ყოველწლიურად ათობით ქალები სწავლობდნენ, მანქანებზე კი მხოლოდ ერთეულები მუშაობდნენ. მომზადებულ ტრაქტორისტ ქალთა მნიშვნელოვანი კადრები იკარგებოდა. მიმდინარე წელს ხელმძღვანელები სამუშაოს უფრო სერიოზულად მოეკიდნენ. და შედეგიც სულ სხვა მივიღეთ: ტრაქტორებზე მუშაობს 46 ქალიშვილი, ხოლო კომბაინერებად და მათ თანაშემწეებად — 45 ქალიშვილი.

კრასნოდარის მხარის კურგანნაიას რაიონის მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა წელს 121 ტრაქტორისტი ქალი მოამზადეს, ხოლო ამჟამად კურსებზე კიდევ 158 ქალი სწავლობს. ყაბარდო-ბალყარეთის ავტონომიური რესპუბლიკის კომკავშირულმა ორგანიზაციამ და სამიწათმოქმედო ორგანოებმა ვალდებულება იკისრეს მოამზადონ 200 ტრაქტორისტი ქალი, ფაქტიურად კი მოამზადეს 370 ქალი.

მაგრამ ასეთივე წარმატებით ყველა ოლქსა და მხარეში როდი ამზადებენ ქალთა კადრებს. კალინინის ოლქმა ვალდებულება იკისრა მოამზადოს 2 ათასი ტრაქტორისტი ქალი, ხოლო კურსებზე სწავლობს ათასზე ცოტა მეტი კაცი, რომელთაგანაც სწავლა დაამთავრა და ტრაქტორისტის სახელწოდება მიიღო მხოლოდ 21 ქალმა. ნოვოსიბირსკის ოლქში უნდა მოემზადებინათ 1.500 და ვორონეჟის ოლქში — 4.000 ტრაქტორისტი ქალი. პირველში სწავლობს 850 და მეორეში — 2.775 ქალი. სუსტად მიმდინარეობს ეს მუშაობა სვერდლოვსკის, გორკის, ივანოვოს, კიროვის და ზოგიერთ სხვა ოლქებში.

მაგრამ სწორი არ იქნებოდა ყველაფერი მხოლოდ კომკავშირული ორგანიზაციებისა და სამიწათმოქმედო ორგანოების არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობისათვის დაგვებრალებინა. ქალთა მექანიზატორულ კადრებს განსაკუთრებით ცუდად ამზადებენ იქ, სადაც პარტიული ორგანიზაციები ამ საქმეს განზე გასდგომიან. დროა შევიგნოთ, რომ ტრაქტორისტ, კომბაინერ, შოფერ, მექანიკოს და მემანქანე ქალთა სწავლება, აღზრდა უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო დავალებაა.

ვიდრე მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების პარტიული ორგანიზაციები, პარტიის რაიკომები, საოლქო კომიტეტები და სამხარეო კომიტეტები სათავეში არ ჩაუდგებიან ამ მუშაობას, მანამდე არ შეიძლება ვიქონიოთ იმის იმედი, რომ 1939-40 სასწავლო წელს სსრ კავშირის მიწსახკომის კურსებისა და სკოლების სისტემის საშუალებით წარმატებით მოვამზადებთ 423,6 ათას ქალს — მანქანების კვალიფიციურ წამყვანთ.

კურსებზე და სკოლებში სწავლებით მექანიზატორთა კადრების აღზრდა კი არ მთავრდება, არამედ მხოლოდ იწყება. არანაკლებ მნიშვნელოვანია ამ კადრების დამაგრება და შენარჩუნება. საჭიროა უფრო გაბედულად, სრულიად უშიშრად მივანდოთ ქალებს მანქანების მართვა. უკვე მომუშავე ტრაქტორისტ და კომბაინერ ქალთა გამოცდილება ადასტურებს, რომ ქალები სამუშაოს ასრულებენ მამაკაცებზე არა ნაკლებად, მთელ რიგ შემთხვევებში კი მათზე უკეთესადაც. ქალთა მთელმა სატრაქტორო ბრიგადებმა, და არა მარტო ცალკეულმა ქალებმა, გვიჩვენეს მუშაობის შესანიშნავი ნიმუშები. მაგალითად, ჩკალოვის ოლქის ჩებენკოვის მტს-ის ქალთა სატრაქტორო ბრიგადამ, რომელსაც ამხ. გობაზევა მეთაურობს, გასულ წელს საშუალო გამომუშავება „ჩტზ“ მარკის თვითეულ ტრაქტორზე პირობითი ხვნის 2.590 ჰექტარამდე აიყვანა.

მხოლოდ ჩამორჩენილ განწყობილებათა ტყვეობაში მყოფ ადამიანებს შეუძლიათ იმაზე ფიქრი — ღირს თუ არა ქალების ფართო მასშტაბით დაშვება მანქანების სამართავად. ათასობით მოწინავე კოლმეურნე ქალებმა, რომელთა შორისაც ცოტა როდია საბჭოთა სოფლის წარჩინებული ქალები, უცილობლად და დამაჯერებლად დაამტკიცეს, რომ უაღრესად რთულ სასოფლო-სამეურნეო მანქანებზე ქალი ისევე კარგად მუშაობს, როგორც მოწინავე მემანქანეები — მამაკაცები.

მტს-ისა და საბჭოთა მეურნეობის ყოველი დირექტორი, სამიწათმოქმედო განყოფილების ყოველი ხელმძღვანელი თავისი ღირსების საქმედ უნდა სთვლიდეს ქალთა გაბედულად დაწინაურებას ტრაქტორისტებად, კომბაინერებად, შოფერებად, მექანიკოსებად, მემანქანეებად. ამ დიდი ამოცანის გადაჭრისადმი ფორმალურ-ბიუროკრატიული მიდგომა შეუწყნარებელია. ამავე დროს კი ასეთ მიდგომას დღემდე აქვს ადგილი. გაკვირვებას იწვევს თუნდაც ის ფაქტი, რომ სსრ კავშირის მიწსახკომის მასობრივი კადრების მომზადების ბიურომ ვერ შესძლო დაეგზავნა სატრაქტორო საქმის 220 ათასი ცალი სახელმძღვანელო და აგროტექნიკის 100 ათასი ცალი სახელმძღვანელო, რომლებიც სპეციალურად გამოშვებულია ტრაქტორისტ ქალთა სასწავლებლად.

შემოდგომა-ზამთრის დაწყებული პერიოდი გამოყენებულ უნდა იქნას ყველა პროფესიის ქალთა მექანიზატორული კადრების მოსამზადებლად. და თუ ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოები საქმეს, როგორც საჭიროა, ისე მოჰკიდებენ ხელს, ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს იმაში, რომ მომავალი წლის გაზაფხულისათვის სოფლის მეურნეობას მექანიზატორული კადრების ახალი რაზმი შემატება. ეს იქნებიან მანქანების წაყვანის რთულ ოსტატობას დაუფლებული ასიათასობით ქალები, რომელთაც უდიდესი სურვილი აქვთ მესამე სტალინური ხუთწლედის მესამე წელი აღნიშნონ ახალი შრომითი გამარჯვებებით ჩვენი დიადი სამშობლოს სასახელოდ, კოლმეურნეობათა განმტკიცებლად და სოციალისტური სახელმწიფოს ძლევამოსილების განსამტკიცებლად.

„პრავდის“ მოწინავე, 19/X

საბჭოთა ჯარი ესტონეთს მიდის

ჩრდილოეთ-დასავლეთი საზღვარი, 17 ოქტომბერი (საკდესი). სსრ კავშირსა და ესტონეთის რესპუბლიკას შორის ურთიერთდახმარების შესახებ დადებული პაქტის შესაბამისად ჯარის № ნაწილები ემზადებიან, რათა ჩავიდნენ იმ ადგილებში, რომლებიც გამოყოფილია მეგობარი ესტონეთის რესპუბლიკის ფარგლებში წითელი არმიის ბაზებად და აეროდრომებად.

მებრძოლნი, მეთაურები და პოლიტმუშაკები დიდი პასუხისმგებლობით ეპყრობიან სამშობლოს მიერ მათთვის დაკისრებული დავალების შესრულებას — დაიცვან საბჭოთა მიწა-წყლის მისასვლელები.

საბრძოლო მანქანები, მატერიალური ნაწილი, მთელი საჭურველი საუცხოო მდგომარეობაშია.

ნაწილების სარდლობა და პოლიტშემადგენლობა დიდ მზრუნველობას იჩენს წითელარმიელთა კულტურული მოთხოვნილებისა და საჭიროების დაკმაყოფილებისათვის. იარაღთან და საბრძოლო საჭურველთან ერთად ნაწილებს თან მიაქვთ დიდძალი კულტურული ინვენტარი. № ნაწილს თან მიაქვს ავტომანქანებზე დადგმული 12 ხმოვანი მოძრავი კინო და უკანასკნელი გამოშვების 20-ზე მეტი მხატვრული ფილმი, რადიოგადაცემის რამდენიმე კვანძი და ასობით რადიომიმღები. ყველა ნაწილში დაკომპლექტებულია ბიბლიოთეკები. სალაშქრო კლუბები მზად არიან გაშალონ მუშაობა ჯარის შესვენების ადგილებში. № ნაწილის ავტომობილთა კოლონის შემადგენლობაში იქნება მანქანები ორი სალაშქრო სტამბითურთ, რაც განკუთვნილია წითელარმიული გაზეთების დასაბეჭდად.

გუშინ № ნაწილში შესდგა მიტინგი, რომელზედაც გამოვიდნენ: მე-2 რანგის არმიის სარდალი მერეცკოვი და ლენინგრადის სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრი, კორპუსის კომისარი ვაშუგინი. მებრძოლთა და მეთაურთა საერთო განწყობილება გამოხატა მეთაურმა ამხ. ფოკინმა:

— მებრძოლნი, — სთქვა მან, — ღირსეულად გავამართლებთ იმ ნდობას, რომლითაც ეპყრობა მათ დიდი სოციალისტური სამშობლო.

მებრძოლთა შორის მოეწყო ლექციები, საუბრები და მოხსენებანი სსრ კავშირსა და ესტონეთის რესპუბლიკას შორის დადებული ურთიერთდახმარების პაქტის შესახებ. მებრძოლებმა იციან, რომ მათი მოვალეობაა დაიცვან სსრ კავშირის წმინდა საზღვრები და დახმარება აღმოუჩინონ მეგობარ ესტონელ ხალხს იმ შემთხვევაში, თუ მას საიდანმე თავს დაესხმიან.

საბჭოთა ჯარის № ნაწილები ხვალ გადავლენ მეგობარი ესტონეთის ტერიტორიაზე.

წითელი არმიის ნაწილები ესტონეთს ჩავიდნენ

ტალინი, 18 ოქტომბერი (საკდესი). საბჭოთა კავშირსა და ესტონეთს შორის ურთიერთდახმარების შესახებ დადებული პაქტის თანახმად, დღეს დილით ესტონეთს ჩამოვიდნენ წითელი არმიის ნაწილები. ესტონეთის მხრივ წითელი არმიის ნაწილებს ნარვის გზატკეცილზე შეხვდნენ ესტონეთის არმიის სარდლობის წარმომადგენლები და სსრ კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ესტონეთში ამხ. ნიკიტინი. წითელი არმიის ნაწილები სანიმუშო წესრიგით მიდიოდნენ. ესტონეთის არმიის სარდლობა მთელი გზის მანძილზე დიდ ყურადღებას და თავაზიანობას იჩენდა. ახლო-მახლო მოსახლეობა გულითადად და მეგობრულად ეგებებოდა წითელი არმიის ნაწილებს.

სსრ კავშირ-ლიტვის სავაჭრო ბრუნვის გადიდება

კაუნასი, 17 ოქტომბერი (საკდესი). დღეს ლიტვის ყველა გაზეთმა მოათავსა ცნობა სსრ კავშირსა და ლიტვას შორის სავაჭრო ხელშეკრულების დადების შესახებ.

„ლიეტუვოს ჟინიოსი“ იუწყება, რომ სსრ კავშირი ლიტვაში გაცილებით უფრო მეტ ნავთის პროდუქტებს, მარილსა და ქვანახშირს შეიტანს, ვიდრე დღემდე შეჰქონდა. საომარი ვითარების გამო, ეს პროდუქტები ლიტვაში სხვა ქვეყნებიდან თითქმის სრულებით აღარ შეაქვთ. სსრ კავშირი გაადიდებს კვების პროდუქტებისა და პირუტყვის შესყიდვას ლიტვაში.

საბჭოთა კავშირ-ლატვიის სამხედრო კომისია ლიბავას გაემგზავრა

რიგა, 17 ოქტომბერი (საკდესი). საბჭოთა კავშირ-ლატვიის შერეული სამხედრო კომისია გუშინ, 16 ოქტომბერს, ლიბავას გაემგზავრა.

ქრონიკა

17 ოქტომბერს მოსკოვს ჩამოვიდა გერმანიის მთავრობის კომისია მრჩეველის, ბ-ნ ფონ კამპჰეფენერის მეთაურობით, რათა მოლაპარაკება გამართოს დასავლეთ უკრაინიდან და დასავლეთ ბელორუსიიდან იმ გერმანელ მოქალაქეთა და გერმანული წარმოშობის პირთა ევაკუაციის შესახებ, რომელთაც გერმანიაში გადასახლება სურთ. (საკდესი).

საბჭოთა ჯარის წასვლა ესტონეთში

ნარვის გზატკეცილზე

საზღვარზე დიდი გამოცოცხლებაა. რამდენიმე საათის შემდეგ აქ გაივლიან წითელი არმიის ნაწილები, რომლებიც ესტონეთს მიდიან ამ ორ მეგობრულ ქვეყანას შორის დადებული ურთიერთდახმარების პაქტის თანახმად.

ესტონეთის მხრიდან საზღვარს უახლოვდება ავტომობილი, რომელშიაც არის სსრ კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ესტონეთში ამხ. ნიკიტინი.

დილის 8 საათია. საბჭოთა სანაპირო რაზმის უფროსი, კაპიტანი სმირნოვი მიდის ჰიშკართან, რომელიც აღმართულია ნარვის გზატკეცილთან. მათთან მიდის ნარვის საზღვრისპირა უბნის უფროსი მაიორი კირგმა. ჰიშკარი იღება.

ურთიერთმისალმების შემდეგ მიცემულ იქნა სიგნალი წითელი არმიის ნაწილების გამგზავრების შესახებ. საზღვართან გამწკრივებულა წითელარმიელთა ორკესტრი, რომელიც ასრულებს „ინტერნაციონალს“. ესტონეთის ტერიტორიაზე 21-ჯერ გაისროლეს ქვემეხი — მისცეს ერების სალუტი. გაისმის ჩვენი საპასუხო სალუტი. ესტონეთის სამხედრო ორკესტრი ასრულებს თავის ნაციონალურ ჰიმნს.

ღია ჰიშკრებით, აწეული შლაგბაუმის გასწვრივ, დაიძრა წითელი არმიის ნაწილთა პირველი ეშელონი. ზედიზედ მიდიან მანქანები ნარვის გზატკეცილით და ჰორიზონტს ეფარებიან. მთელი ეშელონი მანქანებით მიდის.

საბრძოლო ტექნიკასთან ერთად ავტომობილებით მიაქვთ მოძრავი კინო, რადიოგადაცემის კვანძები, ბიბლიოთეკები, კლუბების ინვენტარი.

წამსვლელთ საზღვარზე მიესალმებიან: ლენინგრადის სამხედრო ოლქის სარდალი, არმიის მე-2 რანგის სარდალი მერეცკოვი, ლენინგრადის სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრი, კორპუსის კომისარი ვაშუგინი და ოლქის პოლიტსამმართველოს უფროსი, ბრიგადის კომისარი შმანენკო.

საბჭოთა მებრძოლების გასაცილებლად მოვიდნენ: საკ. კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. შტიკოვი. საკ. კ. პ. (ბ) კინგისეპის საოკრუგო კომიტეტის მდივანი ამხ. შჩინევი, საოკრუგო აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ელხოვი, ორდენოსანი მწერლები ტიხონოვი და პროკოფიევი, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები და საზღვრისპირა სოფლების კოლმეურნეები.

მიემართებიან კოლონები. თვითეული მებრძოლი გამსჭვალულია პასუხისმგებლობისა და მოვალეობის შეგნებით. მან იცის, რომ მას წილად ხვდა დიდი პატივი — ევროპის ყოველი დიდი სახელმწიფოს თავდასხმის შემთხვევაში დაიცვას თავისი სამშობლოს საზღვრები და დაეხმაროს მეგობარ ესტონელ ხალხს.

რიგის გზატკეცილზე

სამხედრო ქალაქში მთელ ღამეს ელნათურები ენთო, დღეს დილის 5 საათისათვის რიგის გზატკეცილზე იწყეს გამოსვლა პირველმა ქვედანაყოფებმა და მანქანათა კოლონებმა. გათენებისას აქ მოვიდნენ მშრომელთა დელეგაციები, მუშები, მოსამსახურეები და საბჭოთა ინტელიგენცია. ისინი გულთბილად ემშვიდობებოდნენ მეგობარ ესტონეთში მიმავალ მებრძოლ ამხანაგებს.

ტანკებისა და ჯავშნიანი მანქანების კოშკებში გაჩნდა ცოცხალი ყვავილების თაიგულები — წამსვლელთადმი სიყვარულისა და ყურადღების ნიშანი. საბჭოთა ჯარის გადასვლის პუნქტში საზეიმო ვითარებაა. საზღვრის ორივე მხარეს გუშაგები თითქოს გარინდებულან თავიანთ ადგილებზე.

8 საათსა და 15 წუთზე მაიორი პლახოვი, რომელიც მიუძღვის უზრუნველყოფისა და დაზვერვის ქვედანაყოფს, საზღვარს გადადის. ჰქუხს „ინტერნაციონალი“. გადის კიდევ რამდენიმე წუთი. ორი მეგობარი ქვეყნის გამყოფი ხაზისაკენ თვითეული მხრიდან მოემართებიან სამხედრო პირთა ჯგუფები.

ესტონეთის არმიის წარმომადგენელი გენერალი კრუუსი მეთაურ ხაზაროვის სახით ესალმება წითელ არმიას და კეთილ მგზავრობას უსურვებს მის ნაწილებს, რომლებიც საზღვარს გადადიან. ორკესტრი ასრულებს ესტონურ ჰიმნსა და „ინტერნაციონალს“. საბჭოთა არტილერისტები ერების სალუტს იძლევიან.

8 საათსა და 45 წუთზე საზღვარი გაიარეს მექანიზებულმა ნაწილებმა. მალე ესტონეთის მხრიდან საზღვარზე მოდიან სრულუფლებიანი წარმომადგენლობის მრჩეველი ამხ. ბოჩკარიოვი, სამხედრო ატაშე პოლკოვნიკი ცუკანოვი და სრულუფლებიანი წარმომადგენლობის სხვა თანამშრომლები. ამასობაში ჯარი მიემართება ორივე მხარის მიერ დაწესებული გზის თანახმად.

გამცილებელთა შორის არიან — საკ. კ. პ. (ბ) ლენინგრადის საოლქო კომიტეტის მდივნები ამხ. ნიკიტინი და ბომაგინი, საოლქო აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. სოლოვიოვი, აგრეთვე სარდლობისა და ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ჩრდილო-დასავლეთის საზღვარი, 18 ოქტომბერი (საკდესის სპეცკორი).

ლატვიის სავაჭრო დელეგაცია მოსკოვიდან წავიდა

18 ოქტომბერს მოსკოვიდან წავიდა ლატვიის სავაჭრო დელეგაცია, რომელშიაც შედიან: დელეგაციის თავმჯდომარე — ლატვიის სავაჭრო-სამრეწველო კამერის თავმჯდომარე ბ-ნი ა. ბერზინში, დელეგაციის თავმჯდომარის მოადგილე — ლატვიის საგარეო საქმეთა სამინისტროს დეპარტამენტის დირექტორი ბ-ნი კამპე და დელეგაციის წევრები: ბ-ნი სკუევიცი, შენბერგსი, ტომსონსი, ზიბარტსი და კალნინში.

დელეგაცია ბელორუსიის ვაგზალზე გააცილეს: საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისრის მოადგილემ სტეპანოვმა, სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენელმა ლატვიაში ტერენტიევმა, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საოქმო განყოფილების გამგემ ბარკოვმა, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის ბალტიისპირა ქვეყნების განყოფილების გამგემ ვასიუკოვმა, საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის სავაჭრო ხელშეკრულებათა განყოფილების უფროსის მოვალეობის აღმსრულებელმა მიშუსტინმა, საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის საოქმო ნაწილის უფროსმა ვშივკოვმა და ლატვიის მოსკოვის მისიის შემადგენლობამ საგანგებო დესპანისა და სრულუფლებიანი მინისტრის კოცინშის მეთაურობით.

თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი შუქრუ სარაჯოღლუ მოსკოვიდან გაემგზავრა

ა. წ. 18 ოქტომბერს მოსკოვიდან გაემგზავრა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი შუქრუ სარაჯოღლუ; მას თან ახლავან თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივნის მოადგილე ბ-ნი ჯევად აჩიკალინი, საგარეო საქმეთა სამინისტროს პირველი დეპარტამენტის დირექტორი ბ-ნი ფერიდუნ ჯემალ ერკინი, საგარეო საქმეთა მინისტრის კაბინეტის დირექტორი ბ-ნი ზექი პოლარი.

კურსკის ვაგზალზე ბ-ნი შუქრუ სარაჯოღლუ გააცილეს: საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილემ ამხ. ვ. პ. პოტიომკინმა, საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილემ ამხ. ვ. გ. დეკანოზოვმა, მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. მ. ა. იასნოვმა, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის გენერალური მდივნის მოვალეობის აღმსრულებელმა ამხ. ა. ა. სობოლევმა, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საოქმო განყოფილების გამგემ ამხ. ვ. ნ. ბარკოვმა, ქალ. მოსკოვის კომენდანტმა ბრიგადის მეთაურმა ამხ. ვ. ა. რევიაკინმა, თურქეთის საელჩოს მთელმა შემადგენლობამ ელჩის ბ-ნი ალი ჰაიდარ აქტაის მეთაურობით და აგრეთვე მოსკოვის დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებმა.

ბ-ნ შუქრუ სარაჯოღლუს თან ახლდნენ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის ახლო-აღმოსავლეთის განყოფილების გამგე ამხ. ნ. ვ. ნოვიკოვი და თურქეთის მოსკოვის საელჩოს მრჩეველი ბ-ნი ზ. ყარამუდა.

ბ-ნ შუქრუ სარაჯოღლუსთან ერთად გაემგზავრა სსრ კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი თურქეთში ამხ. ა. ვ. ტერენტიევი.

კურსკის ვაგზლის ბაქანი მორთული იყო საბჭოთა კავშირისა და თურქეთის ბაირაღებით. მინისტრის გასაცილებლად დაყენებული იყო საპატიო ყარაული.

თურქეთის მიწათმოქმედების მინისტრის ბ-ნ მუჰლის ერქმენის ჩამოსვლა მოსკოვში სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე

18 ოქტომბერს მოსკოვში სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე ჩამოვიდა თურქეთის მიწათმოქმედების მინისტრი ბ-ნი მუჰლის ერქმენი, რომელსაც თან ახლავს პარლამენტის დეპუტატები შუქრი ესმერი და სადრი ერტემი, ჯევად ულკენი და მწერალი ქალი საუდ დერვიში.

კიევის ვაგზალზე მინისტრს შეხვდნენ: სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილე ვასინი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საოქმო განყოფილების გამგე ბარკოვი, უცხოეთთან კულტურული კავშირის სრულიად-საკავშირო საზოგადოების თავმჯდომარის მოვალეობის აღმსრულებელი სმირნოვი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის ახლო-აღმოსავლეთის განყოფილების პასუხისმგებელი რეფერენტი ენკინი და თურქეთის მოსკოვის საელჩოს შემადგენლობა ელჩის ალი ჰაიდარ აქტაის მეთაურობით.

ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-ლატვიის სავაჭრო შეთანხმებას

18 ოქტომბერს მოსკოვში ხელი მოაწერეს 1939 - 40 წლისათვის სავაჭრო შეთანხმებას სსრ კავშირსა და ლატვიის რესპუბლიკას შორის. სავაჭრო ხელშეკრულება ითვალისწინებს სსრ კავშირსა და ლატვიის შორის საქონელბრუნვის ერთისამად გადიდებას და 60 მილიონი ლატის ოდენობით აწესებს ორივე სახელმწიფოს შორის საერთო ბრუნვას.

სსრ კავშირი უფლებას ანიჭებს ლატვიის რესპუბლიკას საქონლის ტრანზიტისათვის სსრ კავშირის რკინიგზებით და წყლის გზებით მურმანსკში, სოროკაში და შავი ზღვის ნავსადგურებში.

სავაჭრო შეთანხმება ითვალისწინებს აგრეთვე ლატვიის ნავსადგურებში გავლით საბჭოთა საქონლის ტრანზიტის დიდ გაფართოებას.

საბჭოთა კავშირის მხრივ სავაჭრო შეთანხმებას ხელი მოაწერა სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარმა ამხ. ა. ი. მიქოიანმა, ლატვიის მხრივ კი — ლატვიის რესპუბლიკის საგანგებო დესპანმა და სრულუფლებიანმა მინისტრმა ბ-ნმა კოცინშმა. (საკდესი).

საკდესის ცნობა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ სსრ კავშირსა და გერმანიას შორის მეგობრობისა და საზღვრის შესახებ გერმანია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებისა და მისი დამატებითი ოქმის რატიფიკაციის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 19 ოქტომბერს რატიფიცირებულ იქნა გერმანია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება სსრ კავშირსა და გერმანიას შორის მეგობრობისა და საზღვრის შესახებ, დადებული მოსკოვში ა/წ. 28 სექტემბერს, და ხსენებული ხელშეკრულების დამატებითი ოქმი, ხელმოწერილი მოსკოვში ა/წ. 4 ოქტომბერს, ხელშეკრულებასა და ოქმთან თანდართული რუკებით.

ტაჯიკეთის სსრ სოფლის მეურნეობის მოწინავეთა დაჯილდოება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ტაჯიკეთის სსრ სოფლის მეურნეობაში მიღწეული თვალსაჩინო წარმატებებისა და განსაკუთრებით ბამბის გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულია ტაჯიკეთის სოფლის მეურნეობის 261 მოწინავე.

ლენინის ორდენით დაჯილდოებულია 21 კაცი. მათ შორის: ამხ. დიმიტრი ზაქარიას-ძე **პროტოპოპოვი** — ტაჯიკეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, მუნავარ **შაგადაევი** — ტაჯიკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, ნეგმატ **აშუროვი** — ტაჯიკეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი, მამადალი **ყურბანოვი** — ტაჯიკეთის სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარე, ტაჯიტდინ **ისაევი** — ტაჯიკეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მესამე მდივანი, ტულეგან **ბეკენოვი** — ოქტომბრის რაიონის 8 მარტის სახელობის კოლმეურნეობის უფროსი ჩობანი, პოშო **ქარიმოვი** ლენინაბადის რაიონის კოლმეურნეობა „კზილ-იულდუზის“ ჩობანი, შარაფატ **კასიმოვა** — ორჯონიკიძეაბადის რაიონის კოლმეურნეობა „იანგი“ — ტურმიშის კოლმეურნე ქალი, აბდუჰალიკ **ლატიპოვი** — კოკტაშის რაიონის კოლმეურნეობა „ტაჯიკისტანი სუთხის“ რგოლის მეთაური და სხვანი.

შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია 40 კაცი. მათ შორის: ამხ. გიორგი ნიკოლოზის-ძე **ბაულინი** — ტაჯიკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე, როდიონ მიხეილის-ძე **გლუხოვი** და ალექსანდრე ვასილის-ძე **მაზაევი** — ტაჯიკეთის სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები, კაიუმ **აზიზოვი** — ვარზობის რაიონის ჩარბოკის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე, მასტურა **ავეზოვა** — ლენინაბადის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარე, ალი **ბაბაჯანოვი** — ლენინაბადის მტს-ის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი, ტოლიბშო **დეხკანოვი** — როშტ-ყალის რაიონის კოლმეურნეობა „ინტერნაციონალის“ მეცხვარეობის ფერმის ჩობანი, აიმამა **იბრაჰიმოვა** — კუიბიშევის რაიონის კოლმეურნეობა „როხი სოციალიზმის“ რგოლის მეთაური და სხვები.

საპატიო ნიშნის ორდენით დაჯილდოებულია 60 კაცი. მათ შორის: ამხ. საიდ **ავეზოვი** — ტაჯიკეთის კ. პ. (ბ) ურა-ტიუბის რაიკომის მეორე მდივანი, ვასილ პეტრეს-ძე **გუბანოვი** — ტაჯიკეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების გამგე, ხატირახან **აშუროვა** — ქზილ-მაზარის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნე ქალი, ჯურა **იბოლტაევი** — რეგარის რაიონის მტს-ის სახ. კოლმეურნეობის სტახანოველი კოლმეურნე, ვლადიმერ ალექსის-ძე **გრიდასოვი** — დანგარის მტს-ის კომბაინერი და სხვები.

მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ დაჯილდოებულია 61 კაცი, **მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“** დაჯილდოებულია 79 კაცი.

(საკდესი).

ყირიმის ასს რესპუბლიკის შექმნის XVIII წლისთავი

სიმფეროპოლი, 18 ოქტომბერი (საკდესი). ყირიმის მშრომელნი დღეს აღნიშნავენ ყირიმის ასს რესპუბლიკის შექმნის XVIII წლისთავს.

ანხორციელებდა რა სამხრეთ რუსეთში კონტრრევოლუციურ ძალთა განადგურების გენიალურ სტალინურ გეგმას, წითელმა არმიამ გამოჩენილი პროლეტარული სარდლობის მ. ვ. ფრუნზეს მეთაურობით 1921 წლის ნოემბერში ყირიმი საბოლოოდ გაანთავისუფლა თეთრგვარდიელი ბანდებისაგან.

18 წლის განმავლობაში მეფის ყოფილი სამფლობელო — ყირიმი — დიდი რუსი ხალხის დახმარებით მოწინავე, ორდენოსან რესპუბლიკად გადაიქცა. ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით ყირიმის მშრომელებმა გაანადგურეს ყველა თავისი მტერი — ბურჟუაზიული ნაციონალისტები, მენშევიკები, ესერები, ტროცკისტ-ბუხარინელი გამცემლები და ჯაშუშები.

რესპუბლიკაში აგებულ იქნა ათობით ახალი ქარხანა და ფაბრიკა, აღჭურვილი პირველხარისხოვანი ტექნიკით: ქერჩის ვოიკოვის სახელობის სახელმწიფო მეტალურგიული ქარხანა, კამიშ-ბურუნის რკინა-მადნის კომბინატი, რამდენიმე საკონსერვო ქარხანა, სამკერვალო, სატრიკოტაჟო, ტყავ-ფეხსაცმლის ფაბრიკები და მრავალი სხვა.

სრულიად გარდაიქმნა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობა. საკოლმეურნეო წყობილებამ სოფლის მშრომელებს ბედნიერი და საამური ცხოვრება მოუტანა. კოლმეურნეობების 3.500-ზე მეტ საუკეთესო წარმომადგენელს საშუალება მიეცა მონაწილეობა მიეღო სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში.

ყირიმის ხალხმა აღზარდა ათასობით ინჟინერი, ტექნიკოსი, პედაგოგი, ექიმი, მსახიობი, მხატვარი, მწერალი, აგრონომი, ორი ათასზე მეტი კომბაინერი, ხუთი ათასზე მეტი ტრაქტორისტი და სხვ.

ყირიმის კურორტებზე ყოველწლიურად მკურნალობს და ისვენებს ასიათასობით მშრომელი.

დღეს ყირიმის სახელმწიფო თათრული თეატრი სახელოვანი წლისთავის აღსანიშნავად ხსნის თავის საზამთრო სეზონს პრემიერით „ტავრიდის რესპუბლიკა“.

სომეხი ხალხის ხელოვნება

დღეს მოსკოვში იწყება სომხური ხელოვნების დეკადა. სოციალისტური სამშობლოს დედაქალაქის მშრომელები ნახავენ ჩვენი მოძმე რესპუბლიკის შესანიშნავი ხელოვნების საუკეთესო ნიმუშებს — გაეცნობიან სომეხი ხალხის შემოქმედებითს მიღწევებს, მოპოვებულს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის შედეგად, და მის სულიერ სიმდიდრეს, რომელსაც მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს.

უხსოვარი დროიდან სომეხი ხალხის სამშობლო უცხოელი დამპყრობლების სათარეშოს წარმოადგენდა. მათ წინააღმდეგ სომხეთის ხალხი სამართლიან ომებს აწარმოებდა იმისათვის, რომ დაეცვა თავისი ქვეყანა და აეყვავებინა საკუთარი კულტურა. გენიალურ სომხურ ეპოსში „სასუნცი დავითში“, რომლის ათასი წლის იუბილე მთელმა საბჭოთა კავშირმა იდღესასწაულა, მოთხრობილია რომ, როცა სასუნის გოლიათები მოსეულ მტერთან ბრძოლას ამთავრებდნენ, მაშინვე ხელს მშვიდობიან მშენებლობას ჰკიდებდნენ, აგებდნენ ციხე-კოშკებს, რომლებიც ხუროთმოძღვრების იშვიათი ძეგლებივით დღესაც ამკობენ სომხეთს.

იმავე ეპოსის რამდენიმე ეპიზოდი მოგვითხრობს მგოსნებისა და აშუღების შესახებ და ეს ეპიზოდები მოწმობენ იმას, რომ მუსიკა და პოეზია ძველთაგანვე საყოველთაო სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა სომეხ ხალხში. ხელოვნების ამ დარგებში, ისე როგორც არქიტექტურაში, სომეხმა ხალხმა გამოავლინა თავისი უშრეტი ნაციონალური ენერგია. მისი მუსიკა, მისი თეატრი, მისი მხატვრული სიტყვა, ყოველთვის მძლავრი და ძლიერი, ნამდვილად ასახავდა მისი შემქმნელი ხალხის ხასიათსა და თვისებებს, მისი ცხოვრების სინამდვილეს.

ისტორიულმა ვითარებამ თავისი დაღი დაასვა სომხეთში ხელოვნების ამ დარგებს. საუკუნოვანმა პოლიტიკურმა და ეკონომიურმა ჩაგვრამ აახმიანა ხალხის მუსიკაში ღრმა მელოდიები, ხალხურ პოეზიაში — მწარე სევდა. მაგრამ ისტორიულად ეს სევდა და მელოდია ქვითინისა და სასოწარკვეთილებისაგან ყოველთვის შორს იყო. პირიქით, მათში გაისმოდა უკეთესი მომავლისათვის ბრძოლისაკენ მოწოდების მკვეთრი ჰანგები, რომელსაც ასაზრდოებდა ხალხის იმედი და თავისი საბოლოო გამარჯვების რწმენა.

და აი სომეხმა ხალხმაც გაიმარჯვა. მისი მტრები გაცამტვერდნენ. სომეხმა ხალხმა დიდი რუსი ხალხის მხარდაჭერითა და დახმარებით, ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით მოსპო დაშნაკთა ულღეური ბატონობა და შექმნა მშობლიური კულტურის განვითარებისათვის საუკეთესო პირობები.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაიწყო სომეხი ხალხის ხელოვნების ნამდვილი აღორძინება და გაფურჩქვნა. მოიპოვა რა მშვიდობიანი განვითარების შესაძლებლობა, ხალხმა არ დააყოვნა თავისი მშობლიური ხელოვნების აყვავება. მცირე ხნის განმავლობაში მან შექმნა ოპერისა და ბალეტის თეატრი, დრამის თეატრები, ცეკვისა და სიმღერების ანსამბლები, ახალი ჰანგებით აამეტყველა თავისი ნაციონალური ინსტრუმენტები. უმდიდრესი მუსიკალური და სანახაობითი კულტურის საფუძველზე ამ თეატრებმა და ანსამბლებმა შექმნეს თავისუფალი ხელოვნების საუკეთესო ნიმუშები.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში შეიქმნა სომხეთში ხელოვნების კადრების მოსამზადებელი კერები — ერევნის სახელმწიფო კონსერვატორია, მუსიკალური ტექნიკუმები და სკოლები, რომლებიც ყოველწლიურად ავლენენ ხალხში ხელოვნების მუშაკთა ახალ საუცხოო ტალანტებს. ეს ტალანტები დღეს წარსდგებიან მოსკოვის აუდიტორიის წინაშე და უჩვენებენ მას თავის ხელოვნებას მთელი ბრწყინვალებითა და მრავალფეროვნებით. რეპერტუარს, რომელსაც ამ დეკადის განმავლობაში იხილავენ მოსკოვის მშრომელები, ამშვენებენ კლასიკური და თანამედროვე სომხური ხელოვნების ნიმუშები — „ალმასტი“, „ანუში“, „ლუსაბაცინი“, „ბედნიერება“. საპატიო ადგილი ამ რეპერტუარში უჭირავთ სიმფონიებსა და სიმღერებს, რომლებიც სომეხმა ხალხმა შექმნა ამ ორი ათეული წლის განმავლობაში და რომლებშიაც გამოხატულია მისი ულრმესი მადლობა იმისადმი, ვინც მოუპოვა სომხეთის ხალხს მშვიდობიანი შრომისა და აღორძინების პირობები — დიდი **სტალინისადმი.**

სომხური ხელოვნების დეკადა მოსკოვში თვალნათლივ გვიჩვენებს თუ როგორ გაიფურჩქნა და აყვავდა ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურა წინად ჩამორჩენილ და დაჩაგრულ რესპუბლიკებში. ეს დეკადა ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის ბრწყინვალე გამარჯვებაა. იგი საბჭოთა ხელოვნების, მთელი საბჭოთა ხალხის ზეიმია.

გაუმარჯოს თავისუფლების მოყვარულ სომხეთის ხალხს და მის აყვავებულ, სოციალისტურ კულტურას!

დასავლეთის ფრონტზე

ნიუ-იორკი, 17 ოქტომბერი
კდესი). როგორც ვინსჰოტენიდან
ლანდია) იუწყებიან, იქ ისმოდა
არტილერიო სროლის ხმა, რომე-
ც ემდენის (გერმანია) მხრიდან
დიოდა. ემდენის მიდამოებში
მლის სვეტები მოსჩანდა. ჰოლან-
ა-გერმანიის საზღვარზე დამსწრე-
მა ნახეს ინგლისის ყუმბარმშენები,
მლებიც ემდენის მიმართულებით
ფრინავდნენ.

პარიზი, 18 ოქტომბერი (საკ-
სი). საფრანგეთის უმაღლესი სარ-
ლობა იუწყება: „18 ოქტომბრის
ლა. ღამის განმავლობაში ორივე
არე აქტივობას იჩენდა. მოწინააღ-
ეგის ზურგში რკინიგზებსა და
ატკეცილებზე ინტენსიური მოძრა-
აა“.

„ტანი“, ეხება რა 17 ოქტომბრის
მხედრო ოპერაციებს, სწერს, რომ
ის განმავლობაში გერმანელები
ჯერ გადავიდნენ შეტევაზე. დი-
ს შეტევა მოიცავდა 10-კილომეტ-
ან ფრონტს მოზელსა და საარ-
იუკენს შუა. დღის შეტევა გაი-
ლა 30-კილომეტრიან უბანზე საარ-
იუკენის აღმოსავლეთით. გერმა-
ის შეტევა მოგერიებულ იქნა
ავრი საარტილერიო ცეცხლით.
ზეთი ამტკიცებს, რომ დილის შე-
ვაში მონაწილეობას იღებდა გერ-
ნიის ორი დივიზია. დღის შეტევა
იწყო ხუთმა თუ ექვსმა დივიზიამ,
მლებმაც საფრანგეთის მოწინავე
უშაგოებს უკან დაახევინეს.

ჰელსინკი, 18 ოქტომბერი (საკ-
სი). გაზეთ „გუვუდსტადსბლადე-
ს“ პარიზელი კორესპონდენტი
წყება, რომ მოზელიდან ვარნდ-
ის ტყემდე მთელი ფრონტის გას-
რივ — 120 კილომეტრის მანძილ-
— ხდება გერმანიის ჯარის გა-
ჯგუფება. ეს იმას მოწმობს, რომ
რმანელები დიდ შეტევას ამზადე-
ნ. 16 ოქტომბერს მთელი ღამის
ნმავლობაში ფრონტიდან 15 კი-
ომეტრის მანძილზე მოსჩანდა ავ-
ამობილების ფარების შუქი. საფ-
ნგეთის მეთვალყურეები იმ დას-
ნამდე მივიდნენ, რომ მტრის მო-
ნავე პოზიციებთან თავმოყრილია
ძალი მაშველი ჯარი.

გერმანიის ფრონტის ხაზის გაძ-
იერებისათვის რომ ხელი შეეშა-
ათ, საფრანგეთის არტილერიამ
გაძლიერებით დაუშინა ყუმბარები გერმანიის ზურგს.

ლონდონი, 18 ოქტომბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტოს სამხედრო მიმომხილველი, ეხება რა დასავლეთის ფრონტის უკანასკნელ ამბებს, სწერს, რომ წინანდელ მსოფლიო ომსა და ახლანდელ ომს შორის ყველაზე მნიშვნელოვან განსხვავებას წარმოადგენს ის, რომ, ინგლისისა და საფრანგეთის უმაღლესი სარდლობის აზრით, საჭირო არ არის ყოველგვარ ფასად შენარჩუნება ისეთი პოზიციებისა, რომლებსაც დიდი ტაქტიკური მნიშვნელობა არა აქვთ. 1914-1918 წლების ომის დროს ასიათასობით ადამიანი დაიღუპა იმის გამო, რომ ამ პრინციპს არ იცავდნენ. მოკავშირეთა სარდლობა ახლა სხვა თვალსაზრისს იცავს. ამიტომ ცნობები იმის შესახებ, რომ გერმანელებმა საარის რაიონში მნიშვნელოვანი ფართობები დაიბრუნეს, არ უნდა იქნას განხილული, როგორც საფრანგეთის ჯარის დამარცხება. ეს არის მოკავშირეთა იმ გეგმის ნაწილი, რომელიც ითვალისწინებს, რომ ჰიტლერი დაიწყებს შეტევას მაჟინოს ხაზზე, მიუხედავად იმისა, რომ მისი სამხედრო ხელმძღვანელები ამის წინააღმდეგნი არიან. წინათაც მან არაერთხელ უგულებელჰყო ეს რჩევა-დარიგებანი და წარმატებას მიაღწია. ჰიტლერი, ალბათ, ფიქრობს, რომ მაჟინოს ხაზზე დიდი შეტევის მორალური ეფექტი გაღებულ მსხვერპლს გაამართლებს. უეჭველია, მაჟინოს ხაზის გარღვევა უდიდეს მორალურ ეფექტს მოახდენდა, მოკავშირეები რომ ამ ხაზს მიუვალად სთვლიდნენ, მაგრამ სინამდვილეში ეს ხაზი მათ ასეთად არ მიაჩნიათ. მაჟინოს ხაზი ისევე ელასტიურია, როგორც ზიგფრიდის ხაზი. ამ ხაზის ზოგიერთი რგოლი შეიძლება გარღვეულ იქნას უდიდესი მსხვერპლის ფასად. მაგრამ შეტევაზე გადმოსული მტერი მაჟინოს ხაზის გადაღმა მოკავშირეთა ყველაზე საუკეთესო, დიდ და მოძრავ მებრძოლ შენაერთებს წააწყდება.

ბრიუსელი, 18 ოქტომბერი (საკდესი). საფრანგეთის გაზეთი „პტი პარიზიენი“ იუწყება, რომ ელზასის მცხოვრებნი ქვემო პირენეების დეპარტამენტში სახლდებიან.

ჩემბერლენის გამოსვლა თემთა პალატაში

ლონდონი, 18 ოქტომბერი (საკდესი).
ეიტერის სააგენტო იუწყება, რომ დღეს
თემთა პალატაში პრემიერმა ჩემბერლენმა
კეთა საომარი მოქმედებისა და საერ-
შორისო მდგომარეობის მორიგი ყოველ-
კვირეული მიმოხილვა.

ემბერლენმა განაცხადა: არაფერი შემი-
ია დავუმატო გასულ კვირაში ჩემ მიერ
კეთებულ განცხადებას, რამდენადაც
რმანიისაგან ამ განცხადების პასუხად
ლი წინადადებები არ მიგვიღია.

ადავიდა რა საომარი მოქმედების მი-
ხილვაზე, ჩემბერლენმა განაცხადა, რომ
ლისის საექსპედიციო ძალებმა უკვე
კავეს მათთვის მიჩენილი უბანი საფ-
ნგეთის ფრონტის ხაზზე. ინგლისის
ლა დივიზია თავის ადგილზეა. შეეხო
ინგლისის ფლოტის მოქმედება, ჩემ-
რლენი შეჩერდა იმ მძიმე დანაკლისზე,
განიცადა ინგლისის ფლოტის შემად-
ლობამ ამ უკანასკნელი კვირის განმავ-
ბაში. შემდეგ ჩემბერლენმა განაცხადა,
მ დიდი ზარალი მოუვიდა გერმანიის
ლქვეშა ფლოტსაც. „ამ უკანასკნელი
რის განმავლობაში,—განაცხადა ჩემ-
რლენმა,—ჩაძირულ იქნა იმ გემების
რთო ტირაჟის მხოლოდ ნახევარ პრო-
ნტამდე, რომლებიც ინგლისის ნავსად-
რებიდან გავიდნენ ან იქ შევიდნენ. ამ
ლო დროს დაიწყო გერმანიის ავიაციის
ვდასხმა ჩვენი სამხედრო-საზღვაო ფლო-
ს ბაზებზე“. „ერთხელ კიდევ უნდა გა-
მეორო, რომ არცერთი ცნობა გემების
ადის“, „რიპალსის“ და სხვა სახაზო
გემების დაზიანების შესახებ სრულიად არ შეესაბამება სინამდვილეს. იგივე ითქმის ავიამზიდ „არკ როიალის“ შესახებაც. „ჩვენ ვიცით, რომ საჰაერო ბრძოლების დროს, რაც ამ უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში პირველად მოხდა ჩვენს სანაპიროზე, ჩვენ მოვსპეთ მტრის 8 თვითმფრინავი, ამასთან არცერთი თვითმფრინავი არ დაგვიკარგავს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ, ალბათ, გერმანიის კიდევ რამდენიმე ყუმბარმშენი არ დაბრუნებულა თავის ბაზებზე. გერმანიის იმ თვითმფრინავების საერთო რაოდენობა, რომლებიც თავდასხმებში მონაწილეობდნენ, 30-ს არ აღემატებოდა. ამრიგად, დანაკლისი, რაც მტერმა განიცადა, უეჭველად აღემატება თავდამსხმელი ძალების საერთო რაოდენობის 25 პროცენტს და, შესაძლებელია, ამაზე მეტიც იყოს“.

„დამხმარე საჰაერო ძალებმა,—სთქვა ჩემბერლენმა,—თავის პირველ და მეტად დიდ წარმატებას მიაღწიეს. მათ ჩამოაგდეს სამი თვითმფრინავი იმ ოთხი თვითმფრინავიდან, რომლებიც თავს დაესხნენ როზიტს. მაგრამ ჩვენ არ უნდა დავიწყოთ სულელური ტრაბახი. მოხდა მხოლოდ რამდენიმე თავდასხმა და ისიც მცირე მასშტაბით. უგუნურება იქნებოდა გვეფიქრა, რომ ჩვენ მუდამ ისეთ წარმატებებს მივაღწევთ, როგორსაც ამ პირველ შეტაკებებში მივაღწიეთ. ომში ბევრი მოულოდნელობა ხდება და არ შეიძლება, რომ ყველა ეს მოულოდნელობა სასიამოვნო იყოს“.

მოძრაობა მშვიდობიანობის სასარგებლოდ ინგლისში

ლონდონი, 17 ოქტომბერი
კდესი). ინგლისში ფართოვდება
ძრაობა ომის შეწყვეტისა და სამ-
ვიდობო კონფერენციის მოწვევის
სარგებლოდ მაგალითად, ეირის
ავრაფის (შოტლანდია) ლეიბო-
რისტული პარტიის კონფერენციამ,
რომელიც პარტიის 50 ათას წევრს
წარმოადგენდა, მიიღო რეზოლუ-
ია, სადაც მთავრობისაგან მოით-
ავს აშკარად განაცხადოს, თუ რა
ზნებს ისახავს იგი ომში. რეზო-
უცია აგრეთვე მხარს უჭერს სამ-
ვიდობო კონფერენციის მოწვევას.
ორე რეზოლუცია ლეიბორისტუ-
ი პარტიის აღმასკომისაგან მოით-
ავს ზეგავლენა მოახდინოს ინგ-
ისის მთავრობაზე, რათა მან ზავი
ასდოს.

ქალაქ რიპონის (იორკშირის სა-
რაფო) ლეიბორისტული ორგანი-
აციის რეზოლუციაში ნათქვამია,
რომ იმ მიზნებს, რომლებსაც ინგლისის მთავრობა ისახავს ამ ომში საერთო არაფერი აქვს დემოკრატიის დაცვასთან. ეს ორგანიზაციაც თავის რეზოლუციაში მოითხოვს, რათა ლეიბორისტულმა პარტიამ მოსთხოვოს ინგლისის მთავრობას გამოაქვეყნოს, თუ რა პირობებით დასდებს იგი ზავს.

ამგვარივე რეზოლუციები მიიღეს ფერნდალის (სამხრეთ უელსის მაღაროელთა კავშირის ადგილსამყოფელი) ლეიბორისტულმა ორგანიზაციამ, ლონდონის ჩრდილოეთ-დასავლეთ ნაწილის ტრანსპორტელთა და შავ მუშათა კავშირის განყოფილებამ, ნიუკესტლის რკინიგზელთა კავშირმა, დაგენჰემის (ესექსის საგრაფო) მშენებელთა კავშირმა, გლაზგოს შავ მუშათა კავშირმა და მანჩესტერის მეავეჯეთა კავშირმა.

კომუნისტების დევნა ბელგიაში

ბრიუსელი, 18 ოქტომბერი
აკდესი). შარლრუადან მიღებული
ნობით, გუშინ ბელგიის პროკუ-
ატურამ განკარგულება გასცა გას-
რიკონ ბელგიის კომუნისტები,
რძოდ შარლრუას რაიონის კომუ-
ნისტური ორგანიზაციების სადგომები.

გაზეთი იუწყება, რომ გაცემულია განკარგულება გააძლიერონ ღონისძიებანი კომუნისტური პროპაგანდის წინააღმდეგ ჯარის ნაწილების დაბანდების ადგილებში.

ბიჰარის პროვინციის საკანონმდებლო კრების გადაწყვეტილება

ლონდონი, 18 ოქტომბერი (საკდესი).
გორც „ტაიმსი“ იუწყება კალკუტიდან,
ჰარის პროვინციის (ინდოეთი) პრემიერ-
16 ოქტომბერს პროვინციის საკანონ-
ებლო კრებაზე შეიტანა რეზოლუცია,
აც ნათქვამია, რომ „ომის გამოცხადე-
ლი მიზნების შესაბამისად ინდოეთს დე-
კრატიის პრინციპები უნდა შეეფარდ-
ს“. ამიტომ საკანონმდებლო კრება წი-
ადებას აძლევს ინგლისის მთავრობას
გარკვევით განაცხადოს დეკლარაციაში, რომ მან გადასწყვიტა ინდოეთი ჩასთვალოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, რომელსაც მინიჭებული აქვს უფლება შექმნას თავისი კონსტიტუცია. დეკლარაცია დაუყოვნებლივ უნდა შეეფარდოს ინდოეთს. ბიჰარის საკანონმდებლო კრებამ ეს რეზოლუცია 6 ხმის წინააღმდეგ მიიღო.

ინგლისის სახაზო გემის „როიალ ოკის“ დაღუპვის გამო

ლონდონი, 19 ოქტომბერი
აკდესი). თანახმად ლონდონში
ამოქვეყნებული ოფიციალური
ნობისა, საბოლოოდ გამორკვეუ-
ია, რომ ინგლისის სახაზო გემის
„როიალ ოკის“ ჩაძირვის დროს ეკიპაჟის 1.234 კაციდან დაღუპულია 810 კაცი. (მათ რიცხვში 24 ოფიცერი).

ინგლისის გემის „სიტი ოფ მენდლის“ ჩაძირვა

ლონდონი, 18 ოქტომბერი
აკდესი). ლონდონში მიღებული
ნობების თანახმად, ინგლისის გე-
„სიტი ოფ მენდლი“ 7.028 ტო-
წყალწყვის ჩაძირულია გერმა-
ნიის წყალქვეშა ნავის მიერ ატლანტიის ოკეანეში. ჩაძირვის დროს გადარჩენილი 300 კაცი აუყვანია ამერიკის გემს.

ესტონეთის პრესა ესტონეთში საბჭოთა ჯარის ჩასვლის შესახებ

ტალინი, 17 ოქტომბერი (საკდესი). ესტონეთის პრესა დიდ მნიშვნელობას აძლევს ესტონეთში საბჭოთა ჯარის ჩასვლას. ყველა დიდი გაზეთი მოწინავეს უძღვნის ამ ამბავს. „უუს ესტი“ სწერს: „18 ოქტომბერს ესტონეთში ჩამოდის ჩვენი მეგობარი და მოკავშირე სახელმწიფოს ჯარი. საბჭოთა ჯარი ჩამოდის თანახმად ურთიერთდახმარების პაქტისა, რომელიც ემყარება დამოუკიდებლობისა და სუვერენულ უფლებათა პატივისცემას და ხელშეკრულების დამდებ მხარეთა საშინაო საქმეში ჩაურევლობას. პაქტის რეალიზაცია ნდობის ატმოსფეროში ხდება. ჩვენი მოქალაქენი ამ ცნობას სრული სიმშვიდით ეგებებიან.

საბჭოთა კავშირის ჯარის მოსვლის წინ უცხოეთის ზოგიერთი წრე გამალებით ავრცელებდა აბსურდულ ხმებს, თითქოს ესტონეთისა და ლატვიის გასაბჭოება იწყება. უცხოეთის ეს წრეები ყოველნაირად ცდილობენ შეშფოთება და არევ-დარევა გამოიწვიონ, წაახდინონ ჩვენი კარგი ურთიერთობა აღმოსავლეთ მეზობელთან. მაგრამ ისინი ამას ვერ მოახერხებენ. ჩვენ ვიცით, რომ ურთიერთდახმარების პაქტის დადება, მისი რეალიზაცია ნდობისა და თანამშრომლობის ატმოსფეროში ხდება. მთელი ეს აბსურდული ხმები მხოლოდ ჩვენი მტრებისაგან მომდინარეობს. ჩვენ უარვყოფთ ამ ხმებს ისევე, როგორც უარჰყო ისინი საბჭოთა კავშირის პრესამ სრულიად კატეგორიული სახით.

სამწუხაროდ, ამ ხმების გამავრცელებელნი ჩვენშიც მოიპოვებიან. ჩვენ ამ ხმებს აღმოვფხვრით, მიუხედავად იმისა მარცხნიდან გამომდინარეობენ ისინი, თუ მარჯვნიდან“.

გაზეთი „პიავალეხტი“ სწერს: „პაქტი, რომლის პრაქტიკული განხორციელებაც ხვალ დაიწყება, მიზნად ისახავს ორი სახელმწიფოს თანაბარ თავდაცვას უაღრესად ფართო მასშტაბით და არ ეხება ამ ქვეყნების სუვერენულ უფლებებსა და ცხოვრების წესებს. საბჭოთა კავშირის ჯარი ესტონეთში რაიმე პროტექტორატის განსახორციელებლად როდი მოდის. მით უფრო ნაკლებად მოდის იგი ჩვენში იმისათვის, რომ დაამყაროს ახალი წყობილება ან გაავრცელოს ახალი მოძღვრება. გავრცელებული ხმები კატეგორიულად უარჰყო საბჭოთა კავშირის სააგენტომ (საკდესმა) როგორც აბსურდული და ცილისმწამებლური.

საბჭოთა კავშირის ჯარის ამოცანას წარმოადგენს სტრატეგიულ პუნქტების გამაგრება, რათა ესტონეთის სამხედრო ძალებთან ერთად განხორციელებულ იქნას გაერთიანებული თავდაცვა ევროპის რომელიმე დიდი სახელმწიფოს მხრით თავდასხმისაგან ან თავდასხმის საფრთხისაგან“.

გაზეთი აღნიშნავს საბჭოთა კავშირის ჯარის განლაგების სიძნელეს და მოუწოდებს მოსახლეობას მხედველობაში მიიღოს ეს და სტუმართმოყვარეობა გამოიჩინოს. გაზეთი სწერს: „თუ ჩვენმა მთავრობამ საზღვარი გახსნა მეზობელი სახელმწიფოს—სსრ კავშირის ჯარის შემოსაშვებად, ეს ნდობა უფრო მეტადაც უნდა გავრცელდეს—ცალკეულ სახლებსა და ცალკეულ ხუტორებში“.

გაზეთი „რახვალეხტი“ სწერს: „ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებზე ჯარის დაბინავება ყველაზე მეტად იმოქმედებს. რა თქმა უნდა, ჯარი ერთგვარ სიძნელეს შეუქმნის ადგილობრივ მოსახლეობას, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ამ ჯარის მიზანია დაიცვას და განამტკიცოს ბალტიის ზღვის სანაპიროს უშიშროება ახლანდელ ომში. ჯარის განლაგების სიძნელე არაფერს წარმოადგენს იმ სიძნელეებთან შედარებით, რომელიც შეიძლებოდა სამხედრო კონფლიქტის დროს გვქონოდა. მთავარი კი ის არის, რომ ჩვენთან მოდის დისციპლინიანი არმია, რომელიც სავსებით პასუხს აგებს თვითეული თავისი წევრისათვის თავისი ხალხის წინაშე. საბჭოთა კავშირის ჯარის განლაგებისათვის ესტონეთის მთავრობამ სსრ კავშირის მთავრობასთან ერთად მიიღო ყველა საჭირო ღონისძიება. ადგილობრივი მოსახლეობაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს იმას, რომ განხორციელდეს ცხოვრებაში ურთიერთდახმარების პაქტი, რომელიც ისახავს უმაღლეს მიზანს—შენარჩუნებულ იქნას ბალტიის ზღვის აღმოსავლეთ ნაპირებზე მშვიდობიანობა ევროპის დიდ სახელმწიფოთა ახლანდელი ომის პირობებში“.

სასამართლო გამოძიება საფრანგეთში პოლიტიკურ მოღვაწეთა წინააღმდეგ

ბერლინი, 18 ოქტომბერი (საკდესი). საინფორმაციო ბიურო იუწყება, რომ საფრანგეთში აღიძრა სასამართლო საქმე ცნობილი ცხრა პოლიტიკური, პროფკავშირული და ლიტერატურული მოღვაწის წინააღმდეგ. პასუხისგებაში მიცემულთა შორის არიან ავიაციის ყოფილი მინისტრი დეა, რომელმაც ხელი მოაწერა ფურცელს „დაუყოვნებლივი ზავისათვის“, ჩრდილოეთის რაიონის პროფკავშირთა გაერთიანების მდივანი დიუმულენი, მწერალი ჟან ჟიონო, ავიაციის ყოფილი მინისტრი პიერ კოტი და სხვ. შემდეგ ცნობაში ნათქვამია, რომ შინაგან საქმეთა მინისტრი ესაუბრა დალადიეს იმ ახალი ზომების შესახებ, რომლებიც მიღებულ უნდა იქნას კომუნისტთა წინააღმდეგ.

ტერორი კომპარტიის წინააღმდეგ საფრანგეთში

ნიუ-იორკი, 17 ოქტომბერი (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტო პარიზიდან იუწყება, რომ მთავრობამ კომუნისტები თანამდებობიდან გადაყენა თორმეტ მუნიციპალიტეტში. სამხედრო ტრიბუნალი აწარმოებს თერთმეტი კომუნისტი—დეპუტატის დაკითხვას.

ინგლისის საზღვაო სამინისტროს ცნობა

ლონდონი, 18 ოქტომბერი (საკდესი). საზღვაო სამინისტროს გადმოცემით, ორკნეის კუნძულებზე გუშინდელ თავდასხმაში მონაწილეობას იღებდა გერმანიის 10 ყუმბარმშენი. ყუმბარების დაშენას არავითარი ზიანი არ მოჰყოლია, მსხვერპლი არ არის.

გერმანიის ერთი თვითმფრინავი ჩამოგდებულ იქნა ფლოტის კუნძულზე, მეორე — ჰოის კუნძულზე.

დაწვრილებითი ცნობები შოტლანდიაზე გერმანიის თვითმფრინავების თავდასხმის შესახებ

ლონდონი, 18 ოქტომბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იტყობინება, სათევზაო გემის ეკიპაჟი, რომელმაც სამი გერმანელი მფრინავი გადაარჩინა, შემდეგ იუწყება ფერტ-ოფ-ფორტში ინგლისის ფლოტზე გერმანიის თვითმფრინავთა თავდასხმის შესახებ: „ჩვენ დავინახეთ დიდი შავი თვითმფრინავი, რომელსაც ინგლისის ორი ავიაგამანადგურებელი მისდევდა. თვითმფრინავი უეცრად გვერდზე გადაიხარა, წყალში ჩავარდა და ჩაიძირა. როცა ჩვენ იმ ადგილს მივუახლოვდით, სადაც თვითმფრინავი ჩამოვარდა, დავინახეთ 3 მფრინავი. მისი ეკიპაჟიდან და ჩვენს გემზე ავიყვანეთ“.

გერმანიის თვითმფრინავების თავდასხმის შემდეგ ედინბურგის ქუჩებში აღმოჩენილ იქნა შრაპნელის მრავალი ნამტვრევი. რამდენიმე სახლი დაზიანებულია ტყვიამფრქვევის ტყვიებით. ჩალეწილია მრავალი ფანჯარა. თავდასხმის ერთერთი დამსწრე მოგვითხრობს: „გერმანიის 6 ყუმბარმშენზე იერიში მიიტანეს ინგლისის ავიაგამანადგურებლებმა. ყუმბარმშენები დაბლა ეშვებოდნენ და ყუმბარებს ჰყრიდნენ. ზოგიერთი მათგანი სამხედრო გემების ახლო ფეთქდებოდა. ერთი ყუმბარა 60 იარდზე აფეთქდა რკინიგზის ხიდიდან, რომელზედაც ორი მატარებელი მიდიოდა“.

გერმანიის წყალქვეშა ნავის ეკიპაჟის დაჯილდოება

ბერლინი, 18 ოქტომბერი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება, რომ გერმანიის სამხედრო-საზღვაო ძალების სარდალმა ადმირალმა რედერმა პირველი და მეორე კლასის რკინის ჯვრებით დააჯილდოვა იმ წყალქვეშა ნავის მეთაური და ეკიპაჟი, რომელმაც ინგლისის სახაზო გემი „როიალ ოკი“ ჩაძირა და ინგლისის სახაზო კრეისერი „რიპალსი“ დააზიანა.

ბულგარეთის მთავრობის გადადგომა

სოფია, 19 ოქტომბერი (საკდესი). დღეს დილით კიოსეივანოვის მთავრობა გადადგა. მეფემ მიიღო გადადგომა და კიოსეივანოვის მთავრობას დაავალა ახალი კაბინეტის შედგენამდე შეასრულოს თავისი მოვალეობა.

ეგვიპტის სენატის გადაწყვეტილება

ლონდონი, 18 ოქტომბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტოს კაირელი კორესპონდენტის ცნობით, ეგვიპტის სენატმა 68 ხმით 59 ხმის წინააღმდეგ მოიწონა მეფის ბრძანებულება, რომელიც ფართო რწმუნებას აძლევს მთავრობას, რათა თავიდან იქნას აცილებული ეგვიპტის ომში ჩაბმა.

კონფლიქტის მოწესრიგება გულანსუში

ტოკიო, 19 ოქტომბერი (საკდესი). დომეი ცუსინის სააგენტო იუწყება, რომ მიღწეულია შეთანხმება იაპონიის გენერალურ კონსულს უციდასა და კუნძულ გულანსუს სეტლმენტის ხელისუფალთა შორის. შეთანხმება ითვალისწინებს მუნიციპალური ხელისუფლების თანამშრომლობას იაპონიის საკონსულო პოლიციასთან „კონტროლის საქმეში იაპონიის მოწინააღმდეგე ელემენტების მიმართ“.

ამ შეთანხმების საფუძველზე, როგორც ამის შესახებ დომეი ცუსინის სააგენტო იუწყება, გულანსუს კუნძულის ბლოკადა, რაც 5 თვეზე მეტი გრძელდებოდა, მოხსნილ იქნა. იაპონიისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებმა გასცეს ბრძანება კუნძულიდან მათი საზღვაო დესანტების გაყვანის შესახებ. (ინგლისისა და საფრანგეთის დესანტები, სააგენტოს სიტყვით, გაწვეულ იქნენ ევროპაში ომის გამოცხადებისთანავე). იაპონიის გენერალურმა კონსულმა უციდამ იმ განცხადებაში, რომელიც მან პრესის წარმომადგენლებს გაუკეთა, სთქვა: „იაპონია გადამწყვეტ ზომებს მიიღებს, თუ მომავალში რაიმე ინციდენტი მოხდება“.

ნიუ - იორკი, 19 ოქტომბერი (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი იუწყება, რომ ამერიკისა და იაპონიის ჯარებმა, რომლებიც სეტლმენტის ტერიტორიაზე გულანსუში მაისის შუა რიცხვებში გადმოვიდნენ, 18 ოქტომბერს ერთდროულად დასტოვეს კუნძული.

უკანასკნელი ცნობები

გერმანიის უმაღლესი სარდლობის ცნობა

ბერლინი, 18 ოქტომბერი (საკდესი). გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობა იუწყება: „მოზელსა და პფალცის ტყეს შორის საფრანგეთის ჯარმა გერმანიის ჯარის ნაწილების იერიშების შედეგად გუშინ დასტოვა გერმანიის ტერიტორიის კიდევ ერთი ნაწილი, რომელიც მას დღემდე ეკავა, წამოყვანილია მრავალი ტყვე. გერმანიის საჰაერო ძალები გუშინ განაგრძობდნენ ოპერაციებს ინგლისის აღმოსავლეთ სანაპიროზე. დღემდე არსებული ცნობებით, სკაპა-ფლოუს ბუხტში, გარდა სხვა სამხედრო გემებისა, ყუმბარებით დაზიანებულ იქნა ინგლისის ძველი სახაზო გემი. საჰაერო ბრძოლის დროს გერმანიის თვითმფრინავებმა ჩამოაგდეს ინგლისის ავიაგამანადგურებელი. ინგლისის საზენიტო არტილერიამ ჩამოაგდო გერმანიის ერთი თვითმფრინავი. 16 და 17 ოქტომბრის განმავლობაში მოწინააღმდეგემ დაჰკარგა 10 თვითმფრინავი, აქედან ხუთი თვითმფრინავი — გერმანიის ტერიტორიაზე.

ბერლინი, 19 ოქტომბერი (საკდესი). დღეს, შუადღისას, გერმანიის არმიის უმაღლესმა სარდლობამ გამოაქვეყნა შემდეგი კომუნიკე საომარი მოქმედების შესახებ დასავლეთ ფრონტზე: „რაიონში მდინარე საარისა და ჰორნბახს შორის ჩვენმა ჯარმა განდევნა საფრანგეთის არიერგარდები საფრანგეთის საზღვრის გადაღმა. მთელ რიგ რაიონებში უშუალო კავშირი მტერთან შეწყვეტილია, რამდენადაც გერმანიის მოწინავე პოსტები არ გადავიდნენ საფრანგეთის საზღვარზე. ამრიგად, ოპერაციების პირველი ფაზა დასავლეთში, რომელიც დაწყებული იყო საფრანგეთის ინიციატივით, შეიძლება დასრულებულად ჩაითვალოს. ამ ხნის განმავლობაში მომხდარი ოპერაციები დასავლეთ ფრონტზე შეიძლება შეჯამებულ იქნას შემდეგნაირად: 9 სექტემბერს საფრანგეთის ჯარმა დაიწყო საომარი მოქმედება და მისმა მზვერავმა რაზმებმა გადალახეს გერმანიის საზღვარი რამდენიმე პუნქტში ლუქსემბურგსა და კარლსრუეს შორის. ამ დროიდან არავითარი დიდი ოპერაცია არ მომხდარა დასავლეთის ფრონტის არცერთ უბანზე. ტერიტორიის გორაკიან უბანზე, რომელიც უშუალოდ ეკვრის საფრანგეთის საზღვარს და ზიგფრიდის ხაზის წინ მდებარეობს, ადგილი ჰქონდა ადგილობრივი ხასიათის შეტაკებებს. ერთის გამოკლებით ამ ოპერაციებში მონაწილეობას იღებდნენ მხოლოდ მცირე შენაერთები, ჩვეულებრივად არა უმეტეს ერთი ასეულისა. საომარი ოპერაციების შედეგად სექტემბრის თვის განმავლობაში საფრანგეთის ჯარმა დაიკავა მხოლოდ მცირე ნაკვეთები გერმანიის ტერიტორიისა: 1) საფრანგეთის საზღვართან ახლომდებარე, გერმანიის რამდენიმე სოფელი ლუქსემბურგსა და მდინარე ლაუტერს შორის; 2) მთიანი რაიონი ტყე ვარნდტი საარბრიუკენის სამხრეთ-დასავლეთით და 3) სექტორი საარბრიუკენის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდინარე საარსა და პფალცს შორის. მხოლოდ უკანასკნელ ორ უბანში, რომლებიც ევაკუირებულ იქნა ჩვენს მიერ თანახმად გეგმისა, მტრის ჯარი გამაგრდა გერმანიის ტერიტორიაზე და შეიჭრა ჩვენი ქვეყნის სიღრმეში 3-5 კილომეტრის მანძილზე. ამ ოპერაციის დროს მან დიდი ზარალი ნახა.

გერმანიის ტერიტორიის მთელი დანარჩენი ნაწილი, რომელიც ზიგფრიდის ხაზის წინ მდებარეობს, რჩებოდა გერმანიის ჯარის ხელში. არცერთ პუნქტში საფრანგეთის ჯარი უშუალოდ არ შეხებია ზიგფრიდის ხაზის სიმაგრეებს იმ პუნქტებს გარდა, სადაც ეს ხაზი უშუალოდ საფრანგეთის საზღვართან გადის, როგორც, მაგალითად, საარბრიუკენთან. არტილერიის მოქმედება შეესაბამებოდა ქვეითი ჯარის ამ სუსტ ოპერაციებს. საქმე თავდებოდა ჩვეულებრივად უმნიშვნელო საარტილერიო დუელით სიმაგრეთა ჩვენი ძირითადი ხაზის წინ. ოპერაციების მხოლოდ მცირე რიცხვი იყო ჩატარებული საარტილერიო ცეცხლის დახმარებით. მხოლოდ ერთ შემთხვევაში საარბრიუკენის მახლობლად ბეტონის თავშესაფარს დაუშინეს ყუმბარები, რამაც შედეგი არ გამოიღო. ამ თავშესაფარს ესროლეს საშუალო ყალიბის 80 ყუმბარა. რაინის ზედა ნაწილში კარლსრუედან ბაზელამდე სრული სიწყნარე იყო, რაც თითქმის მშვიდობიან პირობებს მოგვაგონებდა“.

ბერლინი, 19 ოქტომბერი (საკდესი). გერმანიის სარდლობის ოფიციალური კომუნიკეს თანახმად, რომელიც გამოქვეყნებული იყო დღეს შუადღისას, გერმანიის ჯარის ზარალი დასავლეთ ფრონტზე საომარი მოქმედების მთელი ხნის განმავლობაში შემდეგით გამოიხატება: მოკლულია 197 კაცი; დაჭრილია 356 კაცი; უკვალოდ დაიკარგა 114 კაცი; გერმანიის ავიაციამ დაჰკარგა—11 თვითმფრინავი. ამავე ხნის განმავლობაში დასავლეთის ფრონტზე ჩამოგდებულია მტრის 60 თვითმფრინავი, მათ რიცხვში ინგლისის 12 თვითმფრინავი. ტყვედ წამოყვანილი არიან საფრანგეთის 25 ოფიცერი და 664 ჯარისკაცი და უნტერ-ოფიცერი.

ინგლისის პრესა ინგლისის თავდაცვის მდგომარეობის შესახებ

ლონდონი, 19 ოქტომბერი (საკდესი). გერმანიის წყალქვეშა ნავის მიერ სახაზო გემის „როიალ ოკის“ ჩაძირვასთან დაკავშირებით, ინგლისის პრესა მკაცრად აკრიტიკებს ინგლისის თავდაცვის მდგომარეობას.

გაზეთი „ტაიმსი“ მოწინავეში სწერს: „ეს ინციდენტი დიდ შეშფოთებას იწვევს ინგლისში, ამიტომ საჭიროა გულდასმით გამოკვლეულ იქნას „როიალ ოკის“ ჩაძირვის პირობები. „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტი“ აღნიშნავს საჰაერო თავდაცვის არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობას. სავსებით ცხადია, რომ 17 ოქტომბერს გერმანიის ავიაციის თავდასხმის დროს ინგლისის ესკადრაზე ფერტ-ოფ-ფორტის ყურეში ედინბურგში სამოქალაქო მოსახლეობისათვის საჰაერო განგაშის სიგნალი უნდა მიეცათ“.

გაზეთი „დეილი ექსპრესი“ მოწინავე წერილში სწერს, რომ „როიალ ოკის“ ჩაძირვა სამარცხვინო მოვლენაა და რომ არ შეიძლება ამ კატასტროფის გასამართლებელი საბუთის მოძებნა. ეხება რა ინგლისის მთავრობის განმარტებებს, თუ რატომ არ აცნობეს ედინბურგის მოსახლეობას გერმანიის ავიაციის თავდასხმის შესახებ, გაზეთი სწერს: „ეს განმარტება სავსებით არადამაკმაყოფილებელია. ომში გამარჯვების მოპოვება შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ გამოვიჩენთ საკმარის ენერგიას, ეფექტიურობას და ინიციატივას. ომი ფურცლების გავრცელების სახით უნდა შეწყვეტილ იქნას. იმ „სატოსტო“ თავდასხმებს გერმანიაზე, რომლებიც გრძელდება, სარგებლობა არ მოაქვს“.

გერმანიის თვითმფრინავების სკაპა-ფლოუზე თავდასხმის დაწვრილებითი ცნობები

ლონდონი, 18 ოქტომბერი (საკდესი). ავიაციის სამინისტრომ გამოაქვეყნა შემდეგი ცნობა: „გუშინ ნაშუადღევს შეამჩნიეს და ინგლისის განმანადგურებლებმა იერიში მიიტანეს მტრის ორ თვითმფრინავზე ინგლისის ჩრდილოეთ - აღმოსავლეთის სანაპიროზე. გერმანიის ორივე თვითმფრინავი ჩამოაგდეს. თვითმფრინავები ზღვაში ჩავარდა. ერთი თვითმფრინავის ეკიპაჟი გადარჩენილია. ჩვენი თვითმფრინავები უვნებლად დაბრუნდნენ“.

დღეს დილით იუწყებიან, რომ სკაპა ფლოუზე (ინგლისის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სადგომი ორკნეის კუნძულებზე) გუშინდელ თავდასხმაში მონაწილეობას იღებდა გერმანიის 14 თვითმფრინავი, რომლებმაც 5 თავდასხმა მოახდინეს. თავდასხმები გრძელდებოდა დილის 10 საათიდან დღის 3 საათსა და 35 წუთამდე. გერმანიის ერთი თვითმფრინავი ჩამოაგდეს. ალმოდებული ეს თვითმფრინავი კუნძულ ხოიზე ჩამოვარდა. მფრინავი გადმოხტა პარაშუტით და ტყვედ იქნა წამოყვანილი. ერთერთი უკანასკნელი თავდასხმის დროს გერმანიის ყუმბარმშენები გამოჩნდნენ პენტლენდ ფერტის სრუტეზე (ორკნეის კუნძულების სამხრეთით) და ცდილობდნენ ყუმბარები დაეშინათ ბელგიის ტრაულერისათვის. სანაპიროს საზენიტო ბატარეებმა ყუმბარები დაუშინეს გერმანიის თვითმფრინავებს. ამას გარდა, მათ შესახვედრად აფრინდნენ ინგლისის ავიაგანმანადგურებლები. დადევნების დროს ჩამოაგდეს გერმანიის ორი თვითმფრინავი. როგორც ჰფიქრობენ, დაზიანებულია კიდევ ერთი თვითმფრინავი და ისიც აგრეთვე დაიღუპა.

თბილისის ახალგაზრდობის სამხედრო-ტაქტიკური სწავლება

18 ოქტომბერს, გამოსასვლელ დღეს, თბილისის გარეთ გაიმართა თბილისის მშრომელი ახალგაზრდობის სამხედრო-ტაქტიკური სწავლება. სწავლებაში მონაწილეობა მიიღო 4.000-ზე მეტმა ახალგაზრდამ.

სწავლების დროს გამოყენებული იყო ყოველგვარი სახის სამხედრო იარაღი და სროლა სწარმოებდა ფუჭი ვაზნებით. დილის 10 საათიდან ნაშუადღევამდე გაშლილი იყო „ფრონტი“ და ერთმანეთს „ებრძოდნენ“ შეტევაზე გადასული „წითლები“ და თავდამცველი „ლურჯები“.

სარდლობამ სამხედრო-ტაქტიკური სწავლების შედეგებს კარგი შეფასება მისცა.

თბილისის ახალგაზრდობის სამხედრო-ტაქტიკური სწავლების დაწვრილებითი ანგარიში მოთავსებული იქნება ჩვენი გაზეთის შემდეგ ნომერში.

უმაღლესი სკოლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის კონფერენცია

დღეს, 20 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე, თბილისში მასწავლებლის სახლში გაიხსნება საქართველოს უმაღლესი სკოლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის მეორე რესპუბლიკური კონფერენცია.

კონფერენცია მოისმენს რესპუბლიკური კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებებს და აირჩევს რესპუბლიკურ კომიტეტს, სარევიზიო კომისიას და დელეგატებს უმაღლესი სკოლის და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა საკავშირო ყრილობაზე დასასწრებად.

ფეხბურთი

„დინამო“—„ტრაქტორი“

18 ოქტომბერს თბილისის ლ. პ. ბერიას სახელობის სტადიონზე შესდგა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე. თამაშობდნენ თბილისის „დინამო“ და სტალინგრადის „ტრაქტორი“.

მატჩი დამთავრდა ფრედ (1:1).

ამ მატჩის შემდეგ თბილისის „დინამომ“ 21 თამაშიდან შეაგროვა 25 ქულა.

* * *

ამავე დღეს სსრ კავშირის სხვადასხვა ქალაქებში შესდგა ოსტატ ფეხბურთელთა გუნდების მორიგი მატჩები სსრ კავშირის პირველობაზე:

სტალინოს „სტახანოველმა“ მოუგო ლენინგრადის „სტალინეცს“ (1:0); „კიევის „დინამომ“ დაამარცხა ოდესის „დინამო“ (2:1); „ცდკ“-ას და „მეტალურგის“ მატჩი დამთავრდა „ცდკ“-ას ბრწყინვალე გამარჯვებით (6:1).

17 ოქტომბერს მოსკოვის „სპარტაკისა“ და „ტორპედოს“ მატჩი ფრედ დამთავრდა (1:1).

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომი იუწყება, რომ დღეს, 20 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე რაიკომის პარტკაბინეტში შესდგება იმ ამხანაგების თათბირი, რომლებიც დამოუკიდებლად სწავლობენ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების არჩევნების დებულებას.

საქ. კ. პ. (ბ) სიღნაღის რაიკომი იუწყება, რომ პარტბილეთი № 1543648, გაცემული საქ. კ. პ. (ბ) სიღნაღის რაიკომის მიერ 1939 წლის 1 სექტემბერს იეჯე მიხეილის-ძე ბუჭყიაშვილის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

დღეს კინოებში

რუსთაველის სახ. — „სტეფანე რაზინი“; **ოქტომბერი** — „ცეცხლოვანი წლები“; **დამკვრელი** — „სტეფანე რაზინი“; **კომკავშირელი** — „სევანის მეთევზეები“; **სპარტაკი** — „დიდი ქალაქის ჩირაღდნები“; **ლუქსემბურგის სახ.** — „ცეცხლოვანი წლები“; **26 კომისრის სახ.**—„ლაშქრობა მთაში“; **კომინტერნი**—„ლაშქრობა მთაში“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

20 ოქტომბერს	21 ოქტომბერს	22 ოქტომბერს
მუდმ. ადგ. ტალ. № 23 1 აბონ. 1 წარმ. **ტრავიატა**	მუდმ. ადგ. ტალ. № 24 **წყნარი დონი**	მუდმ. ადგ. ტალ. № 25 **მეფის საცოლე**

დასაწყისი 8 ს. აბონემენტებზე განაცხადთა მიღება და აბონემენტების გაცემა თეატრის სალაროში. სალარო ღიაა 11—4 ს. და 5—9 ს.

მარჯანიშვილის სახ. სახელმწიფო თეატრი
1939-40 წ. წ. სეზონი

20 ოქტომბერს	21 ოქტომბერს	22 ოქტომბერს
მზის დაბნელება საქართველოში	**მათი ამბავი**	**მზის დაბნელება საქართველოში**

დასაწყისი საღ. 8 ს. სალარო ღიაა დილის 12 ს. საღ. 9 საათამდე.

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ლიზა, შვილები ივანე მეუღლე თამარით, და თამარ კორძაია—შვილისშვილები ირაკლი, დოდო, თენგიზი იუწყებიან ძვირფასი
იოსებ პავლეს-ძე დევაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება ქ. ხაშურში ა/წ. 21 ოქტომბერს.

შვილები თედორე, ვანო, გიორგი, კატო, რძლები ანიჩკა, ანეტა, მარუსია, სიძე მიხაკო შვილებით იუწყებიან საყვარელ
გლახუნ ივანეს-ძე მინდაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 22/X სოფ. ერკეთში (ჩოხატაური). 3499

მეუღლე ბაგრატ ალავიძე, შვილები ვალიკო, გალინე, ესმა, ოლია, შვილიშვილი კარლო, მაზლიშვილები ლადიკო, ევნესი, ვალენტი, დარიკო, ნინო, ლიდა იუწყებიან საყვარელ
პელო ერასტის-ასულ ალავიძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა საირმეში 20/X. 3503

მეუღლე მარიამი, შვილი კოლია, რძალი თამარ, ქალიშვილები ელენე, პელო, ქეთო, შვილიშვილები მამია, რეზო, ლადო იუწყებიან
ლუკა ჭანუყვაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 22/X ს. შემოქმედში. 3504

ბებია მარიამი, მამიდები ფაცუნია, გოგონა, ნინა, ნინო რიჟამაძეები, ბიძა მელენტი, მამიდაშვილები ბახტანგ, ლილია ელენები იუწყებიან
ჟულიეტა რიჟამაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა ქუთაისში 21/X. 3505

მშობლები ვანიჩკა, ცაცა ნოზაძეები, ბებია ოლია, დოლიძე შვილებით, ბიძა გრიშა ნოზაძე, ბიძაშვილი თამარ ცხოვრებაძე იუწყებიან
პატარა ნინელი (ტატუნია) ნოზაძის
გარდაცვალებას. გამოსვენება 24/X 4 ს. შევჩენკოს, 3. კუკიის სასაფლაოზე. 3506

მეუღლე ლადო, დედა ლუცუ, ძმა გრიშა, დები ნატაშა, ბაბუცა, ფაცი, მულისშვილები იუწყებიან
კუკური გერასიმეს-ასულ ეფრემიძე-ჯანელიძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 20/X 7 ს. ნიკოლაძის 1 ჩიხი, 4. გამოსვენება 21/X 5 ს. ვაკის სასაფლაოზე. 3497

მეუღლე ვერა, შვილები ნათელა, გიგი ჭანიშვილები იუწყებიან საყვარელ
კალისტრატე (კალია) გერასიმეს-ძე ჭანიშვილის
გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველდღე 7 ს. ვარდისუბნის, 3. გამოსვენება 22/X 4½ ს. 3501

და იუსტინა, დისწულები ვანო, სანდრო, გრიშა ქიქოძეები ცოლშვილით, მართიკო ლორთქიფანიძისა, ვერა გვალიასი ქმარშვილით იუწყებიან
ლუკა კონსტანტინეს-ძე ჭანუყვაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა ს. შემოქმედში 22/X. 3500

ორჯონიკიძის რაიონის გამწვანების სექტორის აგროპერსონალი: ფხაკაძე, ეორილანი, სტურუა, გუდავაძე, ზიმინი, ათაბეგოვი, კარმანოვი, კერესელიძე—იუწყება ანა და ვალიკო ბარათელის შვილი
პატარა ნუგზარის
გარდაცვალებას. 3502

მშობლები ქეთო, აკაკი სიხარულიძეები შვილებით იუწყებიან, რომ 22/X 1 ს. გოგოლეს უბანში (ჩოხატაური) დანიშნულია საყვარელ
ცაცანა სიხარულიძის
სამოქალაქო პანაშვიდი. 3496

მშობლები ზაბინე, ქიშვარდი, შვილი ლამარა, ძმა გიორგი, რძალი შურა, დები თამარ, ნადია, დარეჯან, სიძეები ა. ერქომაიშვილი, შ. ღლონტი შვილებით იუწყებიან, რომ 21/X ს. ჯაყიჯვარში დანიშნულია
გერასიმე გიორგაძის
პანაშვიდი. 3498

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა—3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის და პრესის მიმოხილვის 3—81—84, სასოფლო-სამეურნეოს—3—73—40, საბჭოთა მშენებლობის და განათლება-ჯანმრთელობის 3—80—83, მრეწველობისა და ინფორმაციის—3—80—84, წერილების—3—73—24, პ.-მგ. მორიგის—3—81—65, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—77—70, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.

მთავლიტის რწმუნებული ა—1760